## საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბრძანება N** 01-10/129

ქ. ბათუმი

04 ნოემბერი, 2019 წ

**ბსუ-ში სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის აპარატზე რეგისტრაციისათვის განსაზღვრული პერსონალური ბარათის ხელახალი დამზადების საფასურის განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის და ბსუ-ს შინაგანაწესის 2[1] მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის დისციპლინის უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2015 წლის 5 ნოემბრის 01-08/51 ბრძანებისა და ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 29 ოქტომბრის MES 9 19 01472574 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ში სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის აპარატზე რეგისტრაციისათვის განსაზღვრული პერსონალური ბარათის ხელახალი დამზადების საფასური 2019 წლის 01 ნოემბრიდან განისაზღვროს 5 ( ხუთი) ლარით.
2. სარეგისტრაციო აპარატზე (ელექტრონული ტაბელზე) რეგისტრაციისათვის განკუთვნილი ელექტრონული ბარათის ხელახალი დამზადების საფასური დასაქმებულს დაექვითოს მისი შრომის ანაზღაურებიდან, ახალი ბარათის დამზადების შესახებ დასაქმებულის პირადი განცხადებისა და ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად ჩაბარდეს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალს.
4. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და შიდა აუდიტის სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** **ა. მითაიშვილი**